# ხაშურის მოამბე

№42(323) 13 დეკემბერი, ორშაბათი, 2021 წელი


## ხაშურის „ივერიის“ სტადიონის მშენებლობა დასრულების სტადიაზეა

„ივერიის სტადიონის“ სამუშაოების მიმდინარეობას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ნოდარ ლომიძე და

ცოტნე ნოზაძე ადგილზე გაეცნენ.

პროექტის ფარგლებში უკვე მოწყობილია ხელოვნურსაფარიანი მოედანი მაღალი სტანდარტის განათებით და სარწყავი სისტემით. სრულდება ტრიბუნებზე სკამების დამონტაჟება, მოწყობილია ღია ავტოსადგომი. დასასრულს უახლოვდება საშხაპეების მოწყობა, უკვე დაწყებულია ავეჯის და საჭირო ტექნიკის შესყიდვის პროცედურები.

“სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა ჩვენი პრიორიტეტია. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ პროექტის დასრულების შემდეგ განახლებულ სტადიონზე 20-ზე მეტი ადამიანის დასაქმება იქნება შესაძლებელი” - აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა სამუშაოების დათვალიერებისას.

ხაშურის „ივერიის“ სტადიონის მშენებლობა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის, ხაშურის მუნიციპალიტეტის და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება. სამუშაოების ღირებულება 6 მილიონ ლარს აღემატება.

## ხაშურის რკინიგზის სადგურის მიმდებარე მოედანი მთლიანად შეიცვლის სახეს

ბევრი ჩვენი მოქალაქე შეამჩნევდა სამშენებლო სამუშაოებს,რომელიც ხაშურის რკინიგზის სადგურის მიმდებარე მოედანზე ხორციელდება. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს არ არის მოედნის რეაბილიტაცია, ესაა მოედნის სრული რეკონსტრუქცია. მოედნისა, რომელსაც მშენებლების

ხელი, ფაქტობრივად, ნახევარი საუკუნე არ შეხებია, თუ არ ჩავთვლით, მოედნის ცენტრში არსებული უსახური ძეგლის (სვეტის) აღებას, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისში ბოლშევიკების მიერ ორგანიზებული გაფიცვის სიმბოლოდ ითვლებოდა. რეკონსტრუქცია შეეხება როგორც მიმდებარე შენობებს (მათ შორის საცხოვრებელ კორპუსსაც), ასევე პატარა სკვერსაც, რომელიც „ლიბერთი ბანკის“ გვერდით მდებარეობს. ეს ყველაფერი პრემიერ-მინისტრის ინიციატივის -„განახლებული რეგიონების“ პროექტის ფარგლებში ხორციელდება და მშენებლობას მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით შპს „საბა კონსტრაქშენი“ აწარმოებს.

საინტერესოა, რომ ზემოაღნიშნული მხოლოდ მშენებლობის პირველი ეტაპია, რომლის დასრულების შემდეგ დაიწყება მეორე ეტაპი და რეაბილიტაცია ჩაუტარდება ქალაქის ცენტრალურ მოედანს, მერიის შენობას და ტაბიძის ქუჩაზე არსებულ პარკს. ასე,რომ უახლოეს მომავალში, ჩვენი ქალაქის ცენტრი სრულიად იცვლის სახეს.

- საჩუქრები - პატარებს -

# მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერა ბავშვებს

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი და მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის წარმომადგენლები შშმ ბავშვთა ცენტრ „მომავლის სახლისა“ და

ხაშურის მეორე საჯარო სკოლასთან არსებული დღის მოვლის ცენტრის ბენეფიციარებს ესტუმრნენ და საჩუქრები გადასცეს.

კონსტიტუციით დადგენილია, რომ „სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის“. ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ შშმ ბავშვების მხარდაჭერა ტრადიციულ ხასიათს ატარებს, ღონისძიების ორგანიზატორია მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური.

# შიდა ქართლში, 5000 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება - ადგილობრივი ფერმერები ხარისხიანი და უხვი მოსავლის მოყვანას შეძლებენ

ტაშისკარის სარწყავი სისტემის მოწესრიგების სამუშაოების ფარგლებში სოფელ ოსიაურისა და შაქშაქეთის ტერიტორიაზე მაგისტრალური არხის 12 კმ-იანი მონაკვეთი იწმინდება.

სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას შეუწყობს ხელს.

შედეგად, ქარელისა და ხაშურის 10 სოფლის (ოსიაური, ზემო და ქვემო შაქშაქეთი, ბრეთი, წვერი, არადეთი, საღოლაშენი, ბებნისი, რუისი და ურბნისი) სავარგულზე გაუმჯობესდება წყალუზრუნველყოფა.

საირიგაციო სისტემაზე მიმდინარე სამუშაოები დეკემბრის შუა რიცხვებში დასრულდება.

# ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელმა ნინო სუხიაშვილმა ხაშურის ამერიკულ სივრცეში ამერიკული გამოცდილების შესახებ პრეზენტაცია წარმოადგინა

ნინო სუხიაშვილი ჰუბერტ ჰამფრის მოკლევადიანი პროგრამის ფარგლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა, სადაც გაიარა სასწავლო კურსი მედიისა და ინფორმაციის მიმართულებით ვაშინგტონის უნივერსიტეტში და დაესწრო აშშ სახელმწიფო დეპარტამენტში, საერთაშორისო განათლების ინსტიტუტში, ატლანტიკურ საბჭოსა და




სხვა ინსტიტუტებში გამართულ შეხვედრებს.

ნინო სუხიაშვილმა მსმენელებს გაუზიარა ამერიკაში მიღებული პროფესიული გამოცდილება და ისაუბრა იმ იდეებსა და შესაძლო პროექტებზე, რომელთა განხორციელებასაც ამერიკის გამოცდილებაზე დაყრდნობით გეგმავს.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

# ჩვენმა თანამოქალაქემ, თსუ-ს პროფესორმა გიორგი ლობჟანიძემ ირანის ისლამური რესპუბლიკის ერთ-ერთი უმაღლესი საერთაშორისო ჯილდო მიიღო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი ლობჟანიძემ ირანის ისლამური რესპუბლიკის ერთ-ერთი უმაღლესი საერთაშორისო ჯილდო - შაჰრიარის სამეცნიერო და კულტურული მედალი მიიღო.

შაჰრიარის მედალს თავრიზის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო რეგიონისა და მსოფლიოს იმ მკვლევართათვის გასცემს, ვისაც დიდი წვლილი აქვს შეტანილი ირანისტიკის განვითარებაში და გიორგი ლობჟანიძეს ეს ჯილდო ჯალალ ედ-დინ რუმის ქართული თარგმანისა და კომენტარებისათვის გადაეცა, ხოლო დაჯილდოება COVID-19-ის პანდემიის გათვალისწინებით, ონლაინ რეჟიმში 17 ნოემბერს გაიმართა.

დაჯილდოების ცერემონიაზე, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნიდან ამავე ჯილდოზე წარდგენილი კიდევ ექვსი მეცნიერი ესწრებოდა, გიორგი ლობჟანიძემ მადლობა გადაუხადა საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის წარმომადგენლობას ჯილდოზე წარდგენისა და, ასევე, ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობასა და თავრიზის უნივერსიტეტს - ამ უმნიშვნელოვანესი მედლის მინიჭებისათვის. ამასთან, მანვე ხაზი გაუსვა ასეთი ჯილდოებისა და თანამშრომლობის მნიშვნელობას რეგიონის ქვეყნებს შორის სამეცნიერო კავშირების გაღრმავებისათვის.

„ჩემამდე შაჰრიარის მედალი საქართველოდან რამდენიმე ძალიან ღირსეულმა ადამიანმა მიიღო უკვე და მიხარია, რომ დღეს მათ რიგებს მეც შევუერთდი. საერთოდ მიმაჩნია, რომ ეს მედალი მხოლოდ ჩემი კი არა, მთელი ქართული ირანისტიკისაა, განსაკუთრებით, ჩემი დიდი მასწავლებლებისა, რომელთაგან ზოგი დღეს უკვე ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მთელი თავიანთი ცხოვრება შესწირეს ირანისტიკას. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში უძველესი უნივერსიტეტია და 1918 წელს არის დაარსებული, მისი დაარსების დღიდანვე ისწავლება სპარსული ენა და ლიტერატურა. ეს ტრადიცია დღეს უკვე ირანისტიკის განყოფილებაზე გრძელდება. მადლობას ვუხდი თავრიზის უნივერსიტეტს და მნიშვნელოვანია, რომ ეს მედალი ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მესნევისათვის“ მენიჭება. სხვათა შორის, რომ არა თავრიზიდან მონაბერი მადლი (შამსე თავრიზი) ჯალალ ედ-დინ რუმიც ვერასოდეს იქნებოდა ის რუმი, ვისაც მთელი მსოფლიო იცნობს და აფასებს“, - განაცხადა გიორგი ლობჟანიძემ.

უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორისთვის გადაცემული მედალი სპარსული ლიტერატურის უკანასკნელი დიდი პოეტის შაჰრიარის სახელს ატარებს, რომელიც ასევე თავრიზიდან იყო.

ამასთან, მათივე ინფორმაციით, დაჯილდოება წელს მეექვსედ გაიმართა და გიორგი ლობჟანიძემდე, სხვადასხვა წელს, ეს მედალი მიღებული აქვთ სხვა ქართველ ირანისტებს: თსუ ირანისტიკის მიმართულების ხელმძღვანელს, თეა შურღაიას, პროფესორ ნომადი ბართაიასა და დოქტორ მაია სახოკიას.

# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებმა საორგანიზაციო საკითხებზე სხდომები გამართეს

აირჩიეს კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის შემსრულებლები, განსაზღვრეს სამუშაო ჯგუფები და შეიმუშავეს 2022 წლის სხდომების ჩატარების განრიგი.

განრიგი კი ასეთი იქნება: კომისიები, როგორც წესი, სხდომებს თვეში ორჯერ ჩაატარებენ. აუცილებლობის შემთხვევაში კი დაინიშნება რიგგარეშე სხდომები.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაადგინეს აგრეთვე საკრებულოს სხდომების ჩატარების განრიგი. სხდომები ჩატარდება ყოველი თვის პირველ ხუთშაბათს და მისი გამართვის ზუსტი თარიღი საკრებულოს ოფიციალური ელექტრონული გვერდის საშუალებით, წინასწარ ეცნობება საზოგადოებას.

- საინტერესო ინიციატივა -

# ღირს ამაზე დაფიქრება

ამას წინათ, ერთმა საინტრესო ინფორმაციამ მიიპყრო ჩემი ყურადღება. კერძოდ, ინფორმაციაში საუბარი იყო რუსეთის პერმის ოლქის მცხოვრების ნიკოლო ბრაცის კეთილშობილური საქციელის შესახებ, რომლის გათავისება თითოეულ ჩვენგანს თავისუფლად შეუძლია და ამით უთუოდ შევძლებთ არამარტო ჩვენი გარემოს დაცვას, არამედ ჩვენს გარშემო ძლიერ მწვანე საფარსაც შევქმნით. ახლა იმის შესახებ, თუ რა გააკეთა მოქალაქე ნიკოლაი ბრაცმა. ნიკოლაიმ თავის სოფელში საკუთარი ხელით სახლი ააშენა, მშენებლობის დროს გამოყენებული ხის მასალის სანაცვლოდ, მან გადაწყვიტა მეგობრებთან ერთად, 1300 ცალი სამწლიანი ნერგი დაერგო სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე. რაც მეგობრებთან ერთად წარმატებით შეასრულა, შემდეგ წელს კიდევ 5 ათასი ნერგი მიუმატა თავის ნაშრომს და ფაქტობრივად, იმაზე მეტი შემატა ბუნებას, ვიდრე სახლის მშენებლობისთვის მოიხმარა.

კარგად დავფიქრდეთ, მეგობრებო! - ზემოაღნიშნული მაგალითი მისაბაძი უნდა იყოს თუ არა თითოეული ჩვენგანისათვის. რამდენიმე ათასის თუ არა, 5-10 ნერგის დარგვა ხომ ყველას შეგვიძლია.

ამ საქმეში ვინმეს კარნახი, სულაც არ უნდა იყოს საჭირო, ხელი გამოვიღოთ ყველამ. ადგილობრივმა ხელისუფლებამაც, ინტელიგენციამაც, საპატიო მოქალაქეებმაც, საჯარო სკოლებმა, თუ სასწავლებლებმაც, დამსახურებულმა თუ სხვა საპატიო წოდების მქონეებმაც და უთუოდ შევძლებთ, ჩვენს გარშემო მწვანე საფარის შევსებას, ყველა დაბა-სოფელში ხრიოკი ადგილების გამწვანებას.

შემოდგომა მიიწურა, თუმცა, ისეთი ამინდები გვიდგას დეკემბერშიც და შემდგომ ადრე გაზაფხულზეც, თავისუფლად შეიძლება აღნიშნული ღონისძიების ორგანიზებულად ჩატარება. იმედია, კარგი მაგალითი არამარტო მისაბაძი, არამედ გადამდებიც იქნება ყველა აქტიური და პატრიოტი მოქალაქისთვის.

აღნიშნული მისიის შესასრულებლად, ჩვენს ენთუზიაზმს და წამოწყებას უთუოდ უნდა გამოეხმაუროს ადგილობრივი ხელისუფლებაც, სატყეო მეურნეობაც, სხვა წარმოება-დაწესებულებებიც.

ვნახოთ, ვინ რისი გამკეთებელი იქნება უახლოეს თვეებში.

თემურ ხუხუნაიშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

# ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41)

ყრილობაზე ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ტყეების დაცვისა და ხე-ტყით სარგებლობის საკითხმა. აღინიშნა, რომ რევოლუციის შემდეგ „ხალხი შეესია ტყეებს და უდიერად ანადგურებს. არ ინდობს არც ახალს, არც ძველ ტყეებს და დღითიდღე ანადგურებენ ხალხის ამ საზოგადო სიმდიდრეს“.

ამასთან დაკავშირებით, ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „კავკასიის საზღვრებში არსებული ტყეები შეადგენს მთელი ხალხის სიმდიდრეს და ამიტომ არავის უფლება არ აქვს მიისაკუთროს ამა თუ იმ ადგილას მდებარე ტყე და თავის ნებაზე ანადგუროს. ტყეების მოვლა-დაცვა, ვიდრე ამის შესახებ გამოიცემოდეს რაიმე კანონი, ევალებათ არსებულ საგლეხო საბჭოებს და აღმასრულებელ კომიტეტს, რომელთა შეთანხმებით არჩეულ უნდა იქნას ტყის დამცველი კომიტეტები. შეშით და მასალით სარგებლობა შეიძლება მხოლოდ ამ კომიტეტების ნებართვით და ისიც ნორმალურ ფარგლებში, თითოეული პირი, ანუ სოფელი, ვინც დაარღვევს ამ დადგენილებას და თავის ნებით შევა ტყეში სათარეშოდ, საზოგადოებიდგან გამოეცხადება სასტიკი ბოიკოტი“.

ყრილობამ გადაწყვიტა აღნიშნული რეზოლუცია „საჩქაროდ“ დაგზავნოდა ყველა სოფლის კომიტეტს და სოფლებში არსებულ რევოლუციონურ ორგანიზაციებს“.

ყრილობაზე განხილულ იქნა აგრეთვე იარაღის საკითხი და აღინიშნა, რომ „იარაღის შეძენის საკითხი არ იწვევს კამათს“ და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ „...ამიერკავკასიის მთავრობამ საჭირო იარაღი გადასცეს ქართლის რევოლუციონურს საგლეხო საბჭოებს“, რომლებიც „შეიარაღების შემდეგ უფრო მტკიცედ იდგებიან თავის მოვალეობის სიმაღლეზე. იარაღის გამოფხეკა და დარიგება დაევალა პრეზიდიუმს“.

ყრილობაზე დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა წამოაყენა წინადადება სოფლებში კოოპერატივების დაარსების შესახებ, ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო საკითხს და აღნიშნა, რომ „კოოპერატიულ მოძრაობას ფრიად სასარგებლო დაღი დაუმჩნევია ქართველთა ეკონომიკურს ცხოვრებაზე.... ყრილობამ გამოსთქვა სურვილი, რათა ყველგან იქნეს დაარსებული კოოპერატივები“.

ყრილობამ საგლეხო საბჭოებს დაავალა ხელი შეეწყოთ კოოპერატივების დაარსებისათვის და მოსახლეობაში მასზე გაეწიათ ფართო აგიტაცია.[5]

რუსეთში ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ, 11 ნოემბერს, ამიერკავკასიის პოლიტიკური პარტიების, მუშათა და ჯარისკაცთა სამხარეო საბჭოს, თბილისის საბჭოსა და ფრონტის წარმომადგენელთა თათბირმა უარი თქვა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს ცნობაზე და მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის დამოუკიდებელი მთავრობის შექმნის შესახებ.

18 ნოემბერს შეიქმნა ამიერკავკასიის კომისარიატი.

1917 წლის ნოემბერში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები. ხაშურის რაიონში ხმები ასე განაწილდა: სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ (№1) მიიღო 2658 ხმა, რადიკალ-დემოკრატებმა (№2) – 3; სოციალ-რევოლუციონერებმა (№3) – 107; ეროვნულ-დემოკრატებმა(№4) – 18, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ (ბოლშევიკები) (№5)-16; სოციალ-ფედერალისტებმა (№6) – 127; და ალიონის ჯგუფიდან (№9) – 1;

საქალაქო არჩევნების შემდეგ ხაშურის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მდგომარეობა შეიცვალა. არენაზე გამოვიდნენ ბოლშევიკურად განწყობილი წევრები და ორგანიზაციულად დაფუძნებაც მოახერხეს. 16 ნოემბერს სდმპ ხაშურის კომიტეტმა განიხილა ეს საკითხი და პარტიიდან გაირიცხა მისი ყველა ბოლშევიკურად მოაზროვნე წევრი.

„რევოლუციის დღიდან, (იგულისხმება თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია-თ.ლ.) -წერდა გაზეთი „ერთობა“ - ხაშურში დაარსდა ერთი ორგანიზაცია – რსდმპ, სადაც ორთავე ფრაქცია მენშევიკებისა და ბოლშევიკებისა ერთად მუშაობდნენ და არავითარი კონფლიქტი არ ყოფილა მათ შორის, მაგრამ ბოლშევიკების ანარქო-ბლანკისტური გამოსვლის შემდეგ (იგულისხმება ოქტომბრის რევოლუცია – თ.ლ.) ხაშურშიაც იჩინა თავი ბოლშევიკების კუდაბზიკობამ და მათაც დაიწყეს აშკარა აგიტაცია მენშევიკების წინააღმდეგ. თუმცა მათი რიცხვი ძალიან მცირეა,– სულ რაღაც ოთხი-ხუთი კაცი იქნება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ცალკე კომიტეტიც დააარსეს და „ორგანიზაციულ“ მუშაობას მიყვეს ხელი. ბოლშევიკების ამბოხებამდის იმდენად ჩუმი იყო მათი ორგანიზაციაში მოქმედება, რომ ხაშურის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ ერთი მათი წევრი – ელისაბედაშვილი ქალაქის ხმოსნადაც კი გაიყვნენ. დღეს კი, დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს, გამოვიდნენ ისინი და მოითხოვეს მათ სიის კანდიდატებისათვის მიეცათ ხმა. თუ კი რომელიმე ორგანიზაციის წევრი თავის მოქმედებით ამავე ორგანიზაციის წინააღმდეგ ილაშქრებს და მის გარეშე აგიტაციას ეწევა, მაშასადამე, ის თავისთავად ამ ორგანიზაციიდან გამორიცხულად ითვლება. ამავე კომიტეტმა იმსჯელა და მიიღო შემდეგი წინადადება: გამორიცხულ იქნას სდ (მენშევიკთა) ორგანიზაციიდან შემდეგი წევრები: შალამბერიძე, ელისაბედაშვილი, ბარამიძე, ძაძამია და ფერულეიშვილი“.

1917 წლის 30 მაისს პირველი და მეორე კლასის ბუფეტის მუშებმა, ბუფეტის მოიჯარეადის ვლადიმერ ჩიქოვანის „არანორმირებული შრომის პირობების“ გამო მოთხოვნები წარუდგინეს, რომელშიც ნათქვამი იყო: „მოიჯარადეს მოსამსახურებისათვის გაესტუმრებია ძველი ვალები, ყოველთვიურად მიეცა 15 მანეთი ჯამაგირის სახით ნაცვლად 10 მანეთისა. წელიწადში ერთი თვის შვებულების ანაზღაურებითა და ადგილის შენახვით, ავადმყოფობის დროს ორი თვის ჯამაგირი და ადგილის შენახვა. სამედიცინო მომხასურეობა მოიჯარადის ხარჯია თუ ავადმყოფობა გამოწვეულია შრომის მიზეზით. მოსამსახურე არ იყოს დარჩენილი უმიზეზოდ საქმის შეუსწავლელად და სხვა.

მოიჯარადემ ვლადიმერ ჩიქოვანმა „კანონიერად ცნო მუშების მოთხოვნილებანი“ და დააკმაყოფილა ისინი.

1917 წლის 25 ივნისს, ხაშურში ახლო-მახლო სოფლებიდან შეიკრიბა გლეხობა მიწის საკითხთან დაკავშირებით.

შემოდგომაზე მთელი რიგი პრობლემები შეიქმნა ქალაქის სურსათით უზრუნველყოფის საქმეში. მართალია, ამ დროს ხაშურის საქალაქო საბჭოში არსებობდა სასურსათო კომიტეტი, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა მოსახლეობის საჭირო სურსათით უზრუნველყოფას, მაგრამ იყო ისეთი შემთხვევები, როცა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების, განსაკუთრებით კი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ქალაქი პურის გარეშე რჩებოდა და მოსახლეობა შიმშილს განიცდიდა. იყო შემთხვევები, როცა ქალაქში მხოლოდ შავი პური ცხვებოდა.

ეს გახდა მიზეზი, იმისა, რომ 1917 წლის 9 ნოემბერს ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებს ერთდღიანი გაფიცვა გამოეცხადებინათ.

„ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებმა იუკადრისეს შავი პური, ვინაიდან ეს ჩვენს კუჭს აწყენსო და გაიფიცნენ. გაფიცვა გაგრძელდა ერთი დღე.

როდესაც ერთი გლეხი მივიდა ფოსტაში ფულის გამოსატანად, მოხელეებმა ასეთი პასუხით გამოისტუმრეს ის: მოგვიტანე თეთრი პური და ფულსაც მაშინ მიიღებო.

მათ იმდენი სიბეცე გამოიჩინეს, რომ ხაშურის აღმასრულებელ კომიტეტსაც კი მიმართეს თხოვნით: მოგვეცით პური, თორემ გაფიცვის შედეგებისთვის თქვენ აგებთ პასუხსო.

მიუხედავად მათი ასეთი არასერიოზული გამოსვლებისა, ხაშურის აღმასრულებელმა კომიტეტმა აღმოუჩინა მათ დახმარება და გაფიცვისათვის შესაფერი პასუხი მოსთხოვა“.

გაფიცვის შესახებ ეცნობა ამიერკავკასიის კომისარიატს.

ხაშურის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებს გამოეხმაურნენ სურამისა და ბორჯომის ფოსტის მოხელეებიც.

ნიკიფორე იმნაიშვილი, აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე –ეხმაურებოდა რა მათ გაფიცვას, აღნიშნავდა: „მე ვწუხვარ, რომ სურამის და ბორჯომის ფოსტის მოხელეები გამოქომაგებიან იმ ხალხს, რომელიც ჩირქს სცხებს მთელი ფოსტა-ტელეგრაფის უწყების სახელს. ყოველ შემთხვევაში, საქმის ვითარების გაუგებლად, მოწინააღმდეგის დაუკითხავად მათ არ ჰქონდათ უფლება ასე მოქცეულიყვნენ და თუ მათ ეს მაინც ჩაიდინეს, სჩანს რომ ხაშურელ თანამოხელეების პატიოსნებას ვერ გასცილებიან“.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ხაშურელი ახალგაზრდებიც, რომლებიც ზემო ჭალისა და რკინიგზის ორწლიან სასწავლებლებში, ვაჟთა და ქალთა პროგიმნაზიებში (შემდეგ გიმნაზიებში) სწავლობდნენ. აღნიშნულ სასწავალებლებში (განსაკუთრებით რკინიგზის ორწლიან სასწავლებელში) საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე გამეფებული იყო ცარიზმის რუსიფიკატორული რეჟიმი, რაც საღად მოაზროვნე ახალგაზრდობას განაწყობდა არსებული წყობილების წინააღმდეგ. თუმცა მათი პროტესტი რაიმე სერიოზული ფორმით არ გამოვლენილა.

900-იანი წლების დასაწყისში მოსწავლე-ახალგაზრდობაზე გარკვეული გავლენა მოახდინა 1905-1907 წლებში რევოლუციურმა მოვლენებმა იმ დროს რკინიგზის ორკლასიანი სასწავლებლის მოსწავლე პლატონ წიქრიძე იგონებს: „1905 წლის რევოლუციის ტალღამ ჩვენამდეც მოაღწია და მეტად მღელვარე განწყობილება შეგვიქმნა. მახსოვს ერთხელ სასწავლებელში ატყდა „ბუნტი“, რომელსაც ხელმძღვანელობდა გ. ბასილაშვილი, მე და კიდევ რამდენიმე ამხანაგი. მოსწავლეებმა გავაღეთ ფანჯრები და მოვრთეთ ყვირილი: „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს დემოკრატიას!“ მაშინ ჩვენ გამოვავლინეთ არა მარტო ჩვენი დამოკიდებულება არსებული წყობილებისადმი, არამედ წამოვაყენეთ გარკვეული მოთხოვნაც დედა ენაზე სწავლების შესახებ. ამ ამბავს უშედეგოდ არ ჩაუვლია „ბუნტოვშიკები“ სარდაფში ჩაგვკეტეს, ხოლო გ. ბასილაშვილი სიკვდილის მსხვერპლი გახდა. იგი თბილისში სახალხოდ გაასამართლეს და ჩამოახრჩეს...“

ეს ცნობა არსებული წყობილებისადმი მოსწავლე-ახალგაზრდობის არა მარტო მათ დამოკიდებულებაზე მიგვანიშნებს, არამედ მათ ეროვნულ განწყობაზეც მეტყველებს. კერძოდ ისინი სასწავლებელში დედა ენაზე – ქართულად სწავლებას მოითხოვდნენ.

ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციის ჩამოყალიბება ხაშურში პირველი მსოფლიო ომის წლებში მოხდა. ეს იყო ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია, რომელშიც თავდაპირველად ძირითადად ხაშურის ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეები იყვნენ გაერთიანებულნი, შემდეგ სხვა სასწავლებლის მოსწავლეებიც შეუერთდნენ. ორგანიზაცია დაკავებული იყო მხოლოდ მარქსისტული ლიტერატურის შესწავლით.

1917 წლის 2 ოქტომბერს შედგა ხაშურის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება, რომელზეც არჩეული იქნა ხელმძღვანელი კომიტეტები. კომიტეტმა 3 ოქტომბერს შეიმუშავა წესდება, სამოქმედო პროგრამა და 4 ოქტომბერს მოიწვია საერთო კრება. კომიტეტის ხელმძღვანელობამ (გ. მგელაძე) გააკეთა მოხსენება და დამსწრე საზოგადოებას გააცნო სამოქმედო პროგრამა და წესდება, რაც კრებამ უცვლელად დაამტკიცა. ამ დროს ორგანიზაციაში ირიცხებოდა 90-მდე წევრი. 5 ოქტომბრიდან ორგანიზაციაში უკვე დაიწყო მეცადინეობა. გადაწყდა, კვირაში ორჯერ ჩაეტარებინათ მეცადინეობა, ხოლო კვირაობით წაკითხულიყო რეფერატები.

„როგორც სჩანს,- აღნიშნავდა გაზეთი „ერთობა“, ხაშურის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია ენერგიულად ეკიდება საქმეს. საჭიროა ამ მაგალითს სხვა ახალგაზრდობამაც მიბაძოს, დააარსოს ასეთი ორგანიზაციები და შემოიკრიბონ მის გარშემო (ახალგაზრდები), რაც მათ ააცდენს უსაქმობას და დააყენებს ჭეშმარიტ გზაზე. მაშ, გამოფხიზლდით ახალგაზრდა ამხანაგებო! შეიგნეთ მნიშვნელობა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებისა და მის გარშემო გააჩაღეთ მუშაობა“.

1918 წლის 17-19 იანვარს, თბილისში, გაიმართა ამიერკავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის პირველი კონფერენცია, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან 39 დელეგატი ესწრებოდა. მის მუშაობაში ხაშურიდან მონაწილეობას ღებულობდა გ. მგელაძე, რომელიც ადგილობრივი ორგანიზაციის საქმინაობის შესახებ აღნიშნავდა: „ხაშურში 1914 წლიდან არსებობს მარქსისტ მოწაფეთა ორგანიზაცია. წინ თ წევრები ცოტა იყო, მაგრამ შემდეგ ზემოხსენებულმა ორგანიზაციამ თავის მოქმედება გადაიტანა სხვა სასწავლებლებშიც. მაგალითად, ადგილობრივ ქალთა გიმნაზიის და ჭრა-კერვის სასწავლებლების მოწაფეებიდან დაარსებულ იქნა „იაჩეიკები“, სადაც მეცადინეობა სისტემატურად სწარმოებდა უფროს მოწინავე ამხანაგთა წრეში გადიოდნენ შემდეგ წიგნებს: „ერფურტის პროგრამა“ კ. კაუცკისა, „მოკლე კურსი პოლიტიკური ეკონომიისა“ ა. ბოგდანოვისა, „ისტორიული მატერიალიზმი“ და სხვა. აგრეთვე ვიწვევდით ამხ ნ(იკიფო)რე იმ (ნაიშვი)ლს, რომელიც გვიკითხავდა ლექციებს „ისტორიულ მატერიალიზმზე“ „დიალექტიკაზე“, „ნაციონალურ საკითხზე“ და სხვა.

1916 წლის დამლევს, სასწავლებლის ადმინისტრაციის მიერ შემჩნეულ იქნა წრეების არსებობა, რასაც მოჰყვა მუშაობის შეჩერება, რევოლუციის პირველ დღეებშივე მუშაობა კვლავ გაჩაღდა, ნორმალურ კალაპოტში ჩადგა, წევრთა რიცხვი 200-მდე ავიდა.

ზაფხულში მუშაობა შეჩერდა, რადგან ორგანიზაციის წევრები – მოწაფეები წავიდ-წამოვიდნენ, დარჩენილი ამხანაგები კი ისმენდნენ პროპაგანდისტთა კურსებზე ლექციებს.

სამოსწავლო წლის დაწყებისას მუშაობა განახლდა და მარქსისტ მოწაფეთა ორგანიზაციაში შემოვიდნენ წევრებად მუშები, ნოქრები, ჯარისკაცები და სხვა პროფესიის ახალგაზრდები, რისთვისაც მას (ორგანიზაციას) დაერქვა შინაარსის მიხედვით, ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია. რსდმპ ხაშურის ორგანიზაციის კომიტეტის დახმარებით ჩვენმა ორგანიზაციამ დაიქირავა ბინა, მოაწყო თავისი კლუბი (ახალგაზრდა მარქსისტთა კლუბი), ბიბლიოთეკა და სხვა. შემუშავებულ იქნა წესდება, სამეცადინო გეგმა, რომლის მიხედვით სწარმოებს სწავლა-მუშაობა კვირაში ორჯერ. აგრეთვე შედგენილ იქნა მოწინავე ამხანაგებისგან რეფერენტთა ჯგუფი, რომელიც ყოველ კვირა დღეს აწყობდა რეფერატ-მოხსენების კითხვას, იწვევდა მოწინააღმდეგეებს და მართავდა კამათს. ორგანიზაციის მუშაობა-მეცადინეობას ხელმძღვანელობს იგივე რეფერანტთა ჯგუფი. რიცხვი ორგანიზაციაში ჩაწერილ წევრთა ასზე მეტია... რეაქციის დროს გამოდიოდა ხელნაწერი ჟურნალი...

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- სოფლის მეურნეობა -

# სოფლისთვის, ქვეყნისთვის საჭირო კაცი

ჩვენს რესპონდენტს, ბავშვობიდან ვიცნობ. მახსოვს, მამის გარდაცვალების შემდეგ, როგორ მალე გაიზარდა და ოჯახის უფროსის პასუხისმგებლობა გადაიბარა. სოფელში ყველა ერთმანეთს ვიცნობთ, ერთმანეთის ამბები ვიცით. ხშირად მესმოდა, როგორ თავდაუზოგავად შრომობდა, დოვლათს ქმნიდა, თავის ოჯახთან ერთად. ამბობს, რომ თუ შრომა არ გეზარება, იცი, რისკენ მიდიხარ, ყველაფერი გამოგივა ადამიანს. არაფრისგან დაიწყო და დღეს, სამი ტრაქტორი ჰყავს, აგრეგატებით, რამდენიმე ჰექტარი მიწის მესაკუთრე და უფრო მეტის მეიჯარეა. დილიდან შრომობს, სიზმრებსაც კი ვერ ვხედავ, ღამე არ მძინავსო. ასეთია მოკლე პორტრეტი, ქართველი, მშრომელი ადამიანის, რომელიც საკუთარი ოჯახის და ქვეყნისთვისაც დოვლათს ქმნის.

—13 წლის ვიყავი, მამა რომ გარდამეცვალა და ოჯახის მთელი პასუხისმგებლობა მე დამეკისრა, რადგან ოჯახში უფროსი შვილი ვიყავი. მარტივი არ იყო, მით უმეტეს, იმ დროს. მამას ტრაქტორი ჰქონდა, მისი გარდაცვალების მერე, მე ჩავიბარე ტექნიკა, მისი საქმიანობა გავაგრძელე და შევუდექი შრომას. ერთი ტრაქტორი მქონდა თავდაპირველად, ვერც ვხნავდი, მხოლოდ კულტივაციას და რამდენიმე სხვა ოპერაციას ვაკეთებდი. შემდეგ უკვე დიდი ტექნიკა შევიძინე, თუმცა, ძალიან დიდი შრომა დამჭირდა, რომ იქამდე მოვსულიყავი, რაც დღეს მაქვს.

**- რატომ გადაწყვიტე ამ საქმით დაინტერესება? თუმცა სხვა ალტერნატივა, სოფელში, ალბათ არც იყო...**

—სოფელში ტექნიკაზე მოთხოვნილება ყოველთვის იყო, მით უმეტეს იმ დროს, როცა სოფელში მხოლოდ ერთი-ორი ტრაქტორი იყო, დასახნავი და დასამუშავებელი მიწა, უფრო ბევრი. ამიტომ, გადავწყვიტე, სხვადასხვა ვალდებულებებით, დანაზოგით, გამეფართოვებინა ჩემი საქმიანობა და უფრო მეტი ტექნიკა შემეძინა. დღე და ღამე ვშორმობდი, თავი არ დაგვიზოგავს, მთელი ოჯახი ვართ ჩართული.

**- რა რაოდენობის ტექნიკას ფლობ ახლა?**

—ამ ეტაპზე, სამი ტრაქტორი მყავს, თავისი აგრეგატებით, გუთნით, ფარცხებით, სათესებით, მარცვლეულის, სხვადასხვა კულტურების, კომბაინიც მაქვს. ძალიან რთული აღმოჩნდა, ამ ყველაფრის საკუთარი ძალებით შეძენა.

**- მხოლოდ ხაშურს მოიცავთ?**

—ჩვენს მუნიციპალიტეტში, თითქმის ყველა სოფელს ვემსახურები, აგრეთვე ქარელშიც, გორშიც. მე და ჩემი შვილი ვართ ძირითადად და გვყავს ორი ოპერატორი. ძალიან დიდია მომართვიანობა, რადგან ხარისხიანად ვემსახურებით და ვაკეთებთ ჩვენ საქმეს, გარდა ამისა, ვეხმარები გლეხებს, ვასწავლი, როგორ დაამუშაონ მიწა, სად რა კულტურა დათესონ, როგორ მოუარონ. ვინც ითვალისწინებს ჩემ რჩევებს, კარგი მოსავალიც მოჰყავთ.

**- გარდა ტექნიკური ბაზისა, როგორც ვიცი, სოფლის მეურნეობითაც ხართ დაკავებული.**

—ამ ეტაპზე, ჩემ საკუთრებაში 5 ჰა მიწაა, იჯარებით კი — 120 ჰა გორში მაქვს, 60 ჰა — ნაბახტევში. გორში ხორბალი მითესია. ვთესავ ძირითადად მარცვლოვან კულტურებს, ხორბალს, ქერს, შვრიას, ლობიოს და კარტოფილს, რადგან დამატებითი მუშახელი ჭირდება სხვა კულტურებს და ეს დამატებით ხარჯია ჩემთვის. გარდა ამის, ავაშენე საწყობი, სადაც მოსავალს ვინახავ შემოდგომით. მოსავალს სათესლედ ვყიდი, ახალი ჯიშებია. დანარჩენს ან ვყიდი, ან საკუთარი პატარა ფერმისთვის ვიყენებ. ცუდი ისაა, რომ მოსავლის ღირებულება, ძალიან მცირეა და ჩვენი შრომის კომპენსირებას ვერც ვახდენთ. სამწუხაროდ, ყველაფრის ფასმა ძალიან მოიმატა, რამაც გაზარდა თვითღირებულება და ჩვენ შესაბამის ფასად ვეღარ ვყიდით. ჩემი აზრით, დასარეგულირებელი და განსახილველია ეს საკითი სახელმწიფოსგან. კარგი იქნება, თუ ჩვენი შრომა, შესაბამისად დაფასდება.

**- ოჯახის თანამომაწილეობა და გვერდით დოგმა რამდენად მნიშვნელოვანია ამ დროს?**

—ოჯახში ყველას ჩვენი საქმე გვაქვს. გადავანაწილეთ, თუ ოჯახი გვერდით არ გიდგას, ძალიან რთულია ყველაფრის კეთება, ნამდვილად გამიმართლა ამაში. ჩემი პატარა გოგოც კი ჩართულია, ჯერ სკოლის მოსწავლეა, მაგრამ თავისი საქმე უკვე აქვს საოჯახო მეურნეობაში. ბიჭიც სტუდენტია და შეძლებისდაგვარად, ძალიან მეხმარება.

**- ტექნიკურად, ყველანაირად ხარ აღჭურვილი, რომ ყველანაირის სერვისი შესთავაზო მოსახლეობას?**

—ყოველწლიურად ვაახლებ ტექნიკურ ბაზას, ვცვლი, ან ახალს ვიძენ. ახალი კომბაინის საჭიროება მაქვს ამ ეტაპზე, თუმცა, იმდენად დიდია მისი ღირებულება, მხოლოდ ჩემი ძალებით მისი შეძენა, წარმოუდგენელია, თავის რისკებიც ახლავს და ამიტომ, თავს ვიკავებ. საბანკო ვალდებულების აღებაც დიდი რისკია, თუმცა, განახლებას ნამდვილად საჭიროებს.

**- სახელმწიფო რამდენად გიწყობთ ხელს?**

—ხელშეწყობა ძალიან გვჭირდება სახელმწიფოს მხრიდან, რომ ტექნიკა, სხვადასხვა საშუალებები მისაღები იყოს მოსახლეობისთვის და ხელმისაწვდომი. ჩვენი მოყვანილი პროდუქცია, ბევრად იაფია შემოტანილზე, კარგი იქნებოდა, ეს ბალანსი იყოს დაცული და სახელმწიფო ზრუნავდეს გლეხებზეც და ფერმერებზეც. იაფი აგრო სესხებიც ნაკლებად ხელმისაწვდომია. გარდა ამის, სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობაც არაა მარტივი გლეხისთვის, სანამ ინფორმაცია მოვა ჩვენამდე, საჭირო დოკუმენტაციას მოვამზადებთ, ხშირად, დასრულებულია პროექტი. აქვე, ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო, სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლებს, იმ თანადგომისთვის, რასაც ჩვენს მიმართ გამოხატავენ.

თ. ჯავახიშვილი

შემოდგომის ბოლო აკორდი ქვიშხეთთან, მდინარე მტკვარზე.

ვალერი ზანგურის ფოტო

## პატარა სასწაული ფლევში

სათაურში კი გამოვიტანეთ „მყვირალა“ სახელწოდება და სასწაული ვუწოდეთ ფაქტს, რომელიც ამ ლამაზ სოფელში მოხდა, მაგრამ გლობალურმა დათბობამ და კლიმატის სახეცვლილებამ იმდენად შეგვიცვალა ირგვლივ ყველაფერი, მგონი ამ ფაქტსაც აღარ ჰქვია სასწაული. ყოველ შემთხვევაში, ვინმეს აზრად მოუვიდოდა, რომ, ვთქვათ, 20-25 წლის უკან, ხაშურში, სურამში, ან იგივე ფლევში ლეღვი, კარალიოკი, ხურმა ან ლიმონი მოვიდოდა და დამწიფდებოდა? რა თქმა უნდა, არა და დღეს კი ეს რეალობაა. ვინმეს აზრად მოუვიდოდა, რომ ხაშური და სურამი როდისმე უთოვლო ზამთარს ნახავდა? არადა, ამ ოთხი წლის უკან, ესეც ვნახეთ. (პატარა მოფიფქულს, არა გვგონია, ჩვენთან ვინმე თოვლად თვლიდეს, როდესაც ლამის ორმეტრიანი სიმაღლის თოვლით დაფარული ეზოები გვახსოვს). მოკლედ, სად მიდის ჩვენი პლანეტა, ჩვენ კი არა მეცნიერებსაც უჭირთ ახსნა და ყველაფერი ისეთი სწრაფი ტემპით ვითარდება, უკვე აღარ გაგვიკვირდება, რომ 5-10 წელიწადში ხაშურში ბანანის პლანტაციები ვიხილოთ.

ახლა კი ფაქტი, რომელიც ფლევში მოხდა: ამ მეტიჩარა ტყემალმა აღარ დაუცადა გაზაფხულს და ერთბაშად იფეთქა. სხვა, ფოთლებგაძარცვული ხეების ფონზე მართლა პატარძალს ჰგავს და ისე ამაყად და თავმომწონედ იყურება, დარწმუნებული ვართ, სხვა ხეები შურით სკდებიან. ან პირიქით - დასცინიან კიდეც - შე შტერო, ახლა რომ იპრანჭები, გაზაფხულზე რაღა უნდა ქნაო...

ისე, მართლაც საინტერესოა გაზაფხულზე რა უნდა ქნას ამ „წინ წასულმა მელამ?“ ცირკი ის იქნება, გაზაფხულს მწიფე ტყემლებით თუ შეხვდება ეს ფლეველი პატარძალი.

P.S. თითქოს ეს ერთი ფაქტი არ იყო საკმარისი, რომ ჩვენი თვალები შუბლზე ასულიყო და აგერ სამი დღის უკან, სურამში, ცენტრში, ციხესთან მისასვლელ ხიდთან, სურამულას ნაპირზე, კიდევ ერთმა ტყემალმა იფეთქა.

გადაირევი კაცი!

## D ნუგზარ მამიაშვილის გახსენება

გავიდა ერთი გაუსაძლისი წელი, ჩემო ნუგზარ, რაც შენ ჩემს გვერდით აღარ ხარ. მაგრამ შენი სიკეთე, ერთგულება, მეგობრობა და სიძლიერე, მუდამ ჩემს გვერდითაა. შენ ყველასთვის სიკეთე გინდოდა და ამჟღავნებდი კიდეც. ახლა უფრო ვიგებ შენი სიკეთის შესახებ, ისეთი ადამიანებისგან, რომელთაც არც კი ვიცნობდი. არ ეგუებოდი უსამართლობას, რომელიც შენს გვერდით არც ისე ცოტა იყო, მაგრამ შენი მედგარი ხასიათით ყველაფერს უმკლავდებოდი და მიზანს აღწევდი. ვერ გავუმკლავდით შენს დაავადებას და ნაადრევად წაგვართვა შენი თავი. ძალიან გინდოდა შენს შვილისვილებთან ბარბარეს, ნუგზარის და ლაზარესთან ერთად ყოფნა, მაგრამ არ დაგცალდა.

მე, როცა წამოვალ შენთან, არ შემეშინდება სიკვდილის, რადგან შენ მანდ მეგულები.

გულო მელქაძე-მამიაშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე.
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.